თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 17 აგვისტო
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 12

ქ. თერჯოლა

17 აგვისტო 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3.ლაშა გურგენიძე, 4. იზა მაგრაქველიძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. კობა კაცაძე, 7. ნინო მახათაძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალი ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13.გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. კახა ბუცხრიკიძე, 16. რამინი რობაქიძე, 17. ფრიდონ გვენეტაძე, 18. ნატალია ასათიანი, 19. ტარიელ ფანჩულიძე, 20. როლანდი მესხი, 21. ივანე ჩუბინიძე, 22. ეკა ბერძენიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. თამარ ახვლედიანი, 4. კობა კირკიტაძე, 5. რუსუდან კოვზირიძე, 6. შალვა ჭანკვეტაძე, 7. მერაბი ბასილაძე, 8. დავით ცხდადაძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 22 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 13 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ^{30}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ დავით გოგბერაშვილმა შოვში ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს მიუსამძიმრა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282322756, 15.08.2023 წ.);

მომხს.: ა.ურიადმყოფელი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-292301112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282322785, 15.08.2023 წ.);

მომხს.: ი.მაგრაქველიძე

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-2923011001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282322785, 15.08.2023 წ.);

მომხს.: ი.მაგრაქველიძე

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-29230116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282322785, 15.08.2023 წ.);

მომხს.: ი.მაგრაქველიძე

5. ..უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-292301114 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282322785, 15.08.2023 წ.).

მომხს.: ი.მაგრაქველიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 590.0 ათასი ლარით და შეადგენს 28911.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი, სხვა შემოსავლები გაიზარდა 590.0 ათასი ლარით. (დასუფთავების მოსაკრებელი გაიზარდა 100.0 ათასი ლარით და ჯარიმები, სანქციები და საურავები გაიზარდა 490.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 590,0.0 ათასი ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის დაფინანსება გაიზარდა 165.0 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 250.0 ათასი ლარით. სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის დაფინანსება გაიზარდა 95.0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით რელიგიური საქმიანობა გაიზარდა 15.0 ათასი ლარით და სოციალური დაცვა გაიზარდა 40.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კახა ბუცხრიკიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მხარს არ უჭერს ბიუჯეტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 4

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 14, 17.08.2023 წ.)

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელმა იზა მაგრაქველიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-292301112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამაში თანხის მომატების საჭიროება გამოიწვია მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდამ, პროგრამის ბიუჯეტს ემატება 13 000 ლარი და გახდება 45 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -22 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-292301112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29232294, 17.08.2023 წ.)

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შესრულებელმა იზა მაგრაქველიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-2923011001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტს ემატება 11 000 ლარი და გახდება 251 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -22 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-2923011001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29232293, 17.08.2023 წ.)

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელმა იზა მაგრაქველიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-29230116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტს ემატება 10 000 ლარი და გახდება 90 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -22 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-29230116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29232292, 17.08.2023 წ.).

5.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მ/შემსრულებელმა იზა მაგრაქველიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-292301114 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტს ემატება 6000 ლარი და გახდება 26 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -22 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ..უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29-292301114 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება№გ-29.29232295,17.08.2023 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე
დავით გოგბერაშვილი